

„საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 30 დეკემბრის №259/3 ბრძანების

დ ა ნ ა რ თ ი №7

**სახელმწიფო-პოლიტიკური და სხვა სახელმწიფო თანამდებობის პირებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების ნუსხა, რომელთათვისაც საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში განკუთვნილია სპეციალური ადგილები და რომელთაც აქვთ საქართველოს პარლამენტის სასახლეში თავისუფლად გადაადგილების უფლება**

1. საქართველოს პრეზიდენტი;
2. საქართველოს პრემიერ-მინისტრი;
3. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი;
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები;
6. საქართველოს მინისტრები და სახელმწიფო მინისტრები;
7. საქართველოს სახალხო დამცველი;
8. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ბანკის საბჭოს წევრები;
9. გენერალური აუდიტორი და მისი მოადგილეები;
10. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და წევრები;
11. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და მისი მოადგილეები;
12. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი;
13. საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსი;
14. საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი;
15. საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი;
16. საქართველოს მინისტრების მოადგილეები;
17. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები;
18. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები;
19. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები უცხო ქვეყნებში;
20. უცხო ქვეყნების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები და დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები საქართველოში;
21. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი;
22. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოწვეული სხვა თანამდებობის პირები.